ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 299

"13" სექტემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქალაქ თბილისში, ლისის ტერიტორიაზე მდებარე 10005 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №72.16.21.679) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის და დაინტერესებულ კომპანიასთან: შპს „მომავლის სკოლასთან" (ს/ნ: 211356272) გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 118[1] მუხლის მე-5 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, ლისის ტერიტორიაზე მდებარე 10005 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.16.21.679) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის და დაინტერესებულ კომპანიასთან - შპს „მომავლის სკოლასთან" (ს/კ: 211356272) გასაფორმებელი შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 7 სექტემბრის №35.08.767 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ლისის ტერიტორიაზე მდებარე 10005 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.16.21.679) საპრივატიზებო საფასურის გარეშე გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, დაინტერესებული კომპანიის: შპს „მომავლის სკოლის" (ს/კ: 211356272) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ნ. რამიშვილის ქ. №37ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.170) მდებარე 2791 კვ.მ. საერთო ფართობის კოლეჯის (I რიგი) უფლებრივად უნაკლო მდგომარეობით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართის სახით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი